ხელშეკრულება №11.02.2019
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ.გორი **11.02.2019 წ.**

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითრების ხელშეწყობის სააგენტო **(ს/კ:418471031)** წარმოდგენილი მისი დირექტორის გელა კაპანაძის სახით (შემდგომში–შემსყიდველი) და მეორეს მხრივ ი/მ **ნინო გიორგაძე (პ/ნ:59001037116)** (შემდგომში–მიმწოდებელი) ვხელმძღვანელობთ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით „სახელმწიფო შესყიდვების" შესახებ, **გამარტივებული შესყიდვების საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში-ხელშეკრულებას) შემდგომზე:**

1.ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანია: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითრების ხელშეწყობის სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებული კულტურის ცენტრის ღონისძიებისთვის სხვადასხვა წიგნების შესყიდვა.

2.შესყიდვის ობიექტი: ნაბეჭდი წიგნები (CPV-22110000-კოდი)

3.ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება **ეროვნულ ვალუტაში (ლარი).**

3.2შესყიდვის ობიექტის თანხა 330 (სამასოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარი.

3.3**დღგ-ს ჩათვლით,** საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

4.შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1.მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა **- 2019 წლის 11 თებერვალი.**

5.2.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: **ქ.გორი, იერუშალაიმის №18**

5.3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

6.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

7.1.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება **ეროვნულ ვალუტაში (ლარი).**

7.2.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება **უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით**.

7.3მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის ანგარიშფაქტურისა, სასაწონლო ზედნადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

7.4მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.

7.5მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან და შესაბამისი საგადახდო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან **არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში**.

8.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1.შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

8.2.შემსყიდველს უფლება აქვს: განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

8.3.შემსყიდველი ვალდებულია: დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად; უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

8.4.მიმწოდებელს უფლება აქვს :მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.5.მიმწოდებელი ვალდებულია: დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2.თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3.ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4.ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების **0,02 %** ის ოდენობით.

10.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს **2019 წლის 1 აპრილამდე.**

11.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

12 ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ურთიერთშორის მოლაპარაკებისას ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ხოლო მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ან სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. საქონლის მიღება-ჩაბარებას, ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სააგენტოს სამეურნეო სამსახურის სპეციალისტი - ნიკოლოზ მახარობლიძე

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე **ორ** ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი მიმწოდებელთან, **ერთი** შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს

ქართულ ენაზე.
15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა	ი/მ ნინო გიორგაძე
და ტურიზმის ხელშეწყობის განვითარების სააგეტო	პ/ნ: 59001037116
მის: ქ, გორი, სტალის №16	ბანკი: სს ,, თიბისი ბანკი"
ს/კ:418471031	ბანკის კოდი :TBCBGE22
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა ბ/ნ: TRESGE22	ა/ა: GE46TB1965945063622433 მის: ქ.გორი, იერუშალაიმის №18
საზაზინო ანგარიში: 3504100000	

დირექტორი	ი/მ
Gela Kapanadze Digitally signed by Gela Kapanadze Date: 2019.02.11 16:56:19 +04'00'	Nino Giorgadze Digitally signed by Nino Giorgadze Date: 2019.02.11 11:28:27 +04'00'

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის ხელშეწყობის განვითარების სააგენტო

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

თარიღი: 11.02.2019 წ.
მიმწოდებელი: ი/მ ნინო გიორგაძე (პ/ნ:59001037116)
ხელშეკრულება: N-11/02//2019

იტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების" **მე-8 მუხლის ,,ინტერესთან კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები"შესაბამისად** ვადასტურებთ, რომ **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითრების ხელშეწყობის სააგენტოს (ს/კ:418471031)** თანამშრომლები ზემოაღნიშნულ მიმწოდებელთან არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

დირექტორი: *გელა კაპანაძე*

Gela Kapanadze

Digitally signed by Gela Kapanadze
Date: 2019.02.11 16:55:49 +04'00'

შესყიდვის მთავარი სპეციალისტი: *სოფიკო ჭილაშვილი*

Sopiko Tchilashvili

Digitally signed by Sopiko Tchilashvili
Date: 2019.02.11 16:52:49 +04'00'

მიღება- ჩაბარების აქტი №11.02.2019

ქ.გორი 11/02/2019 წ

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს სამეურნეო სამსახურის სპეციალისტი ნიკოლოზ მახარობლიძე (შემდგომში – "შემსყიდველი") (ს/კ:418471031) და მეორეს მხრივ ი/მ **ნინო გიორგაძე (პ/ნ:59001037116)** (შემდგომში-„მიმწოდებელი") ვადასტურებთ, რომ 11.02.2019 შემსყიდველმა მიიღო, ხოლო მიმწოდებელმა ჩააბარა 2019 წლის №11.02.2019 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, რომლის ღირებულებაა-330 **(სამასოცდათი) ლარი.**

მხარეებს ერთმანეთთან პრეტენზია არ გააჩნიათ.
აქტი სწორეა, რაზედაც ხელს ვაწერთ.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა	ი/მ ნინო გიორგაძე
და ტურიზმის ხელშეწყობის განვითარების სააგეტო	პ/ნ: 59001037116
მის: ქ, გორი, სტალის №16	ბანკი: სს „ თიბისი ბანკი"
ს/კ:418471031	ბანკის კოდი :TBCBGE22
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა ბ/ნ: TRESGE22	ა/ა: GE46TB1965945063622433 მის: ქ.გორი, იერუშალაიმის №18
საზაზინო ანგარიში: 3504100000	

დირექტორი	ი/მ
Gela Kapanadze Digitally signed by Gela Kapanadze Date: 2019.02.11 16:54:11 +04'00'	Nino Giorgadze Digitally signed by Nino Giorgadze Date: 2019.02.11 11:29:12 +04'00'